საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3455/01
07/04/2021

3455-01-2-202104071324

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს"
მის: თბილისი, 300 არაგველის N24
ელ.ფოსტა: info.sgp@socar.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 31 მარტის N5700 განცხადება, რომელიც ეხება ქ. ფოთსა და ქ. თბილისში ავტოგასამართი სადგურების (ნავთობპროდუქტების საცავი) ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მოწყობა და ექსპლუატაციას.

როგორც სამინისტროს 2021 წლის 26 მარტის N3077/01 წერილით გეცნობათ, სკრინინგის განცხადებაში არ იყო მოცემული და დაზუსტებას საჭიროებდა საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ: გამწმენდი დანადგარის ტიპი, ტექნიკური მახასიათებლები, წარმადობა, გაწმენდის ეფექტურობა და ტექნოლოგიური სქემები, ასევე ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩამდინარე წყლის წარმოქმნის საკითხი. გაცნობებთ, რომ თქვენს განცხადებაზე დართული გამწმენდი დანადგარის პასპორტი, სადაც მოცემულია დანადგარის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის: დანადგარის სქემა (ჭრილი და გეგმა), მუშაობის ტექნოლოგიური სქემა და ნახაზები, წარმოდგენილია მხოლოდ რუსულ ენაზე. ვინაიდან საქართველოში ადმინისტრაციული წარმოების ენა არის ქართული, აღნიშნული დანართი სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყალი წარმოიქმნება საწვავისათვის განკუთვნილი რეზერვუარების რეცხვისას. დაზუსტებას საჭიროებს რეზერვუარების რეცხვის ჯერადობა (თვეში, წელიწადში), როგორც რეცხვისთვის საჭირო წყლის რაოდენობა, ასევე რეცხვის შედეგად წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების რაოდენობა და გამწმენდ დანადგარში გაწმენდილი წყლის შემდგომი მართვის საკითხი. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს არსებობს თუ არა ობიექტზე ჩამდინარე წყლების წარმოქმნის სხვა წყაროებიც.

გარდა ამისა, როგორც სამინისტროს N3077/01 წერილით გეცნობათ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული, ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობები, რომლებიც არ მოიცავს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობებს, არ საჭიროებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. აღნიშნულ საქმიანობებზე ვრცელდება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ქ. თბილისსა და ქ. ფოთში არსებული ავტოგასამართი სადგურები მოწყობილია 2018 წლის 1 იანვრამდე, აღნიშნული საქმიანობა არ საჭიროებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას, მათ შორის სკრინინგის პროცედურას.

დამატებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან შპს ,,სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის” მიერ დაგეგმილია გამწმენდი ნაგებობის/დანადგარის მოწყობა-ექსპლუატაცია, შესაბამისად სკრინინგის განცხადება და საქმიანობის დასახელება წარმოდგენილი უნდა იქნას „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-10 პუნქტის 10.6. ქვეპუნქტის (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია) შესაბამისად.

ზემოაღნიშნული საკითხების დაზუსტებამდე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებები.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე